ვინც მოკლავს ხელშეკრულების მქონე არა მუსლიმს (მუსლიმებთან მშვიდობის პირობით მცხოვრებს), ის სამოთხის სურნელს ვერ იგრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ მისი სურნელი ორმოცი წლის (გასავლელი) მანძილის სიშორეზე იგრძნობა

აბდულლაჰ იბნ ამრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვებს, რომელმაც თქვა: «ვინც მოკლავს ხელშეკრულების მქონე არა მუსლიმს (მუსლიმებთან მშვიდობის პირობით მცხოვრებს), ის სამოთხის სურნელს ვერ იგრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ მისი სურნელი ორმოცი წლის (გასავლელი) მანძილის სიშორეზე იგრძნობა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მკაცრად აფრთხილებს, რომ ვინც მოკლავს ხელშეკრულების მქონე არა მუსლიმს (ეს ნიშნავს იმას, ვინც არა მუსლიმთაგან შემოვიდა ისლამის მიწაზე ხელშეკრულებითა და უსაფრთხოების გარანტიით), ვერ იგრძნობს სამოთხის სურნელს, მიუხედავად იმისა, რომ მისი სურნელი იგრძნობა ორმოც წელს გასავლელი მანძილის სიშორეზე.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/64637